

„აფხაზეთის საგარეო უწყების დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ნიკარაგუას ეწვია“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ნიკარაგუას ეწვია და ნიკარაგუას პრეზიდენტის, დანიელ ორტეგას ინაუგურაციას დაესწრო.

გამოცემის თანახმად, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ნიკარაგუას რესპუნლიკის სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრა.

დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაციას ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე ხელმძღვანელობდა.

ნიკარაგუა ერთ-ერთია იმ ოთხი ქვეყნისგან, რომელიც აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებს.

09.01.2017 <http://mfaapsny.org/>